საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

შაბათი, 22 ნოემბერი 1919 წ. № 208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარეთან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საშაბათს 25 ნოემბერს საღამოს 7½ საათზე ქუთ. ქალაქის თეატრში წაიკითხავენ

ლექციებს

სპირიდონ კედია: საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობა.

ალ. ასათიანი: საქართველოს ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობა. ლექციების შემდეგ გაიმართება კამათი.

გულმოკლული მამა იოსებ ტყაბლაძე, დები: ელენე შენგელია და პაშა გეგეშიძისა, სიძეები: დავით შენგელია და პორფილე გეგეშიძე, დის შვილები: ნინო, ქეთო, ვახტანგი, სანდრო და გოცა, ბიძაშვილი: თამარა ჟღენტი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 22 გიორგობისთვეს დილის 11 საათზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულის

ბაბილინე და პეტრე მელუებისს

სულის მოსახსენებლად, საფირჩხიის სასაფლაოზე.

ღრმა მწუხარებაში ყოფი დედა მინიკა მიქაძისა და ძმა ქელეჟბეგ (იგივე კონსტანტინე) ფარსადანის ძე მიქელაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 23 გიორგობისთვეს, დილის 10 საათზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი ფარსადანის ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლათ, სოფელ კულაშს, ჯვარცხმაზე.

დამწუხრებულნი მშობლები ლუარსაბი და ოლღა, ძმა ვარდენი, დები: აგრაფინა, ვერა, ქეთო და საშა კაპანაძეები; ბაბუა ნესტორი და ბებია მელანია იამანიძეები; დეიდები; პელაგია და მინადორა და ბიძები: პაღლე ჯინჭარაძე და იპოლიტე ხოხიაშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, უდროვოდ გარდაცვალებას პირველნი შვილისა, მეორე და მესამენი ძმისა, მეოთხენი შვილისშვილისა, მეხუთენი დის შვილისა და შემდეგნი ცოლის დის შვილისა

ვანიჩკა (ივანე) ლუარსაბის ძის კაპანაძისას,

რომლის დაკრძალვა მოხდება შაბათს 22 ნოემბერს, (ახალი სტილით) ნაშუადღევის სამის ნახევარ საათზე. უმორჩილესად გთხოვთ მობრძანდეთ დანიშნულ დროზე და ანუგეშოთ პირისუფალნი გარდაცვალებულისა. პანაშვიდი დღეს საღამოს ხუთ საათზე. ფერმის ქუჩა, სიკუთარი სახლები.

ინტელიგენტურ შრომას არ აფასებენ!

მკითხველს მოეხსენება საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების გაჭირვება:

საშუალოდ თვეში ათასხუთასიდან ორიათას მანეთამდის ეძლევათ! ე. ი. ორი კვირის სახარჯოც არა!

ამგვარად ის, ვინც განათლების საქმეს ემსახურება, დაშშეულია, დაჩაგრულია, გულგატეხილია!

მაინ ჯამაგირების 100%-ით გადიდებას სატარიფო პალატა წინააღუდგა — ის სატარიფო პალატა, რომელიც ნებას აძლევს ფოთის, ჭიათურისა და რკინისგზის სხვა მტვირთველ მუშებს დღეში ხუთას-ხუთასი და, ასე გასინჯეთ, რვაას-რვაასი მანეთი აიღონ!

ზოგიერთი ფიზიკური მუშის დღიური ქირის გადიდებით საქონლის გაძვირებას ხელს უწყობენ. იმავე დროს ინტელიგენტურ შრომას არ აფასებენ.

ნუ თუ არ იციან, რომ ეს — კულტურისა და განათლების საქმეს შეაფერხებს?!

საუკეთესო, ენერგიული მასწავლებლები თავის პროფესიას ვაჭრობაში გასცვლიან!

ახალთაობას სწავლაზე გული აუცრუვდება! და სასწავლებლები დაიხურებიან!

მაშასადამე მეცნიერებისა და ხელოვნების საძირკველი დაინგრევა.

მაგრამ ეს საქმე კიდევ ერთის მხრით არის ყურადსაღები. საკითხი დამფუძნებელი კრების კომისიებმა და სამინისტრომ განიხილეს და დადებითად გადასწყვიტეს.

მაშ რა ნება აქვს სატარიფო პალატას მოწონებული კანონპროექტი დამფუძნებელი კრების კომისიებს უკანვე დაუბრუნოს?!

ამის უფლება მხოლოდ საფრანგეთის სენატს აქვს და ისიც მაშინ, როდესაც ქვედა პალატის მიერ მოწონებული კანონპროექტი სენატში გადადის.

და არსად და არაოდეს ისეთი წესი არ ყოფილა, რომ რომელიმე დაწესებულება საკანონმდებლო პალატის შინაურ მუშაობაში ჩარეულიყოს!

მეორე მხრით, თუ უნდათ, სატარიფო პალატას საკანონმდებლო ფუნქციები მიუმისონ, კეთილ ინებონ და ეს პალატაც საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორისა და ფარული ხმის მიცემით აგვარჩევინონ!

სად არიან ამ პალატაში გლეხების, ხელოსნების, ინტელიგენციის წარმომადგენლები?! ვინ აირჩია?! ერის მცირე ნაწილმა და ისიც არაპირდაპირი ხმის მიცემით!

ცხადია, სატარიფო პალატა საკანონმდებლო დაწესებულება არ არის.

მაშ რას მივაწეროთ, რომ მისი მოთხოვნით კანონპროექტის განხილვა გადაიდო?!

იმას, რომ კონსტიტუცია არ გვაქვს.

დროა დამფუძნებელმა კრებამ ინებოს თავისი პირდაპირი დანიშნულების ასრულება — კონსტიტუციის შედგენა!

უნდა ვიცოდეთ: უკონსტიტუციოდ რესპუბლიკაში წესი და რიგი ვერ დამყარდება.

ქვერი.

საქართველოდან სიმინდი გააქვთ!

სოხუმის მხრიდან მიტანილი სიმინდი ბათომიდან ოსმალეთში გააქვსთ.

სენაკის მაზრიდან კი სომხები ზიდვენ ბორჯომის ხეობით.

იმავე დროს მთავრობამ სიმინდის გატანის აღკრძალვა, მართალია, დაიკანონა, მაგრამ ვერ განახორციელა.

შიმშილის უმთავრესი საფრთხე სწორეთ აქ არის.

რუსეთმა ბლოკადა გამოგვიცხადა.

ევროპაში „შავი ქვის" გატანა ვერ მოვაწყვეთ, რომ მაგიერად პური და ფართალი შემოგვეტანა.

და, თუ კი ის სიმინდიც, რაცა გვაქვს, ოსმალეთსა და სომხეთში გა-

ქალაქის თეატრში
სამშაბათს
სპირიდონ კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური.

ბოლშევიკებმა ფსკოვი გაამაგრეს.

საბჭოთა ჯარმა აიღო: ბორზკო, ლგოვი, ტიმი და სადგური ტალოვაია.

საბჭოთა ჯარმა აიღო ომსკი.

მოხალისეებმა პეტლიურას ფრონტის მიმართულებით აიღო ლიპოვეცი და დერაუნაია.

გიორგიევის პოლკის ნაწილი წითელი არმიას შეუერთდა.

საფრანგეთში პარლამენტის არჩევნებში სოციალისტების დამარცხებას ბოლშევიკურ ლოზუნგების გავრცელებით ხსნიან.

პრუსიის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, პროლეტარიატის დიქტატურა გერმანიას სამუდამოთ დაღუპავსო.

იტალიაში არჩევნები წესიერად ჩატარდა.

თბილისში ჩამოვიდენ აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობათა თავმჯდომარენი ნ. ბ. უსუბეკოვი და ა. ი. ხატისოვი.

იტანეს, საშინელება დაგვატყდება თავს!

აი აქ უნდა გამოეჩინა გამრიგებლობის უნარი მომარაგების კომიტეტს.

თვარა სხვა რა-ღა უნდა გაარიგოს!

ნესტარი.

რუსეთ-საქართველოს ბოლშევიზმი.

პირველი შეხედვით ბოლშევიზმი ინტერნაციონალური მოძღვრება გვეგონა. ვფიქრობდით, რომ ლამაზი ფრაზეოლოგია მთელ ევროპას მოხიბლავდა, და თუ დიდხანს ვერ გასტანდა ერთდროულ ავანსად მაინც მიიღებდა ევროპის პროლეტარიატი. მაგრამ დახეთ, ევროპის პროლეტარიატი გონებით გაცილებით სალი გამოდგა და ბოლშევიზმი მარტოდ-მარტო რუსის პროლეტარიატს ხვდა წილად.

მაგრამ როგორც ინტერნაციონალური მოძღვრება ბოლშევიზმი რუსეთშიც კარგა ხანია დასამარდა და ულტრა ინტერნაციონალისტები —ნაციონალურ ჟურჟში გაეხვიენ. მაგალითად არა ერთხელ ყოფილა მასიური დევნა არმავირში სომხების, ცენტრალურ რუსეთში ბერძნების და სხვა...

მაგრამ ბოლშევიზმით რუსეთმა მაინც საკმაოდ ისარგებლა. ზანტი რუსის სხეული ბოლშევიზმმა აამოძრავა.

გაცილებით მეტი შორს მჭვრეტელი გამოდგა მილიუკოვ-როძიანკოებზე— ლენინი.

ლენინი ადრე იყო დარწმუნებული, რომ იარაღით დაგროვილს სხვადასხვა ეროვნებებს, და მათ ტერიტორიებს რუსეთი თავს ველარ შეუკავებდა, და ამ იდეისთვის ბრძოლა უნაყოფოდ ჩაივლიდა და ამიტომ რუსეთის ეროვნულ დანაწილებას ლენინი იოლად შეურიგდა. რუსეთის თავისუფლებაში ლენინმა დიდი როლი ითამაშა. რომ ეს დროზედ არ გაჩენილიყო, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ კერენსკი იარაღით დაუმორჩილებდა რუსეთს რომელიმე ცენტრალურ სახელმწიფოს. ლენინმა აგრძნობინა ხალხს კარს მომდგარი უბედურება და ბოლშევიკური ექსპერიმენტებით გამოღვიძება დაუწყო. გუშინდელი მაქსიმალისტ სოციალისტი — დღეს უკიდურესი ნაციონალისტია.

ბოლშევიზმი რუსეთის ეროვნულ აღორძინების მოციქულია, და მალე ალბათ რუსეთის ბოლშევიკები საბოლოოდ გაეხვევიან ნაციონალურ ქურჟში...

ბოლშევიზმი ნგრევის პროცესია.

ბოლშევიკებმა დაანგრიეს და დაარღვიეს რუსეთის სახელმწიფოებრივი აპარატი, და ალბათ ისინი მალე სცენას ჩამოშორდებიან, და მათ ადგილზე რომელიმე მესამე ძალა გაჩნდება რომელიც შენებას დაუწყებს რუსეთს...

ბოლშევიზმი წმინდა რუსული პარტიაა. ბოლშევიკურ ექსპერიმენტებს სტენ-კა რაზინების ქვეყანა ადვილად მოინელებს და განახლებს შეუდგება.

ეხლა ვნახოთ რა ადგილი აქვს ბოლშევიზმს საქართველოში. ჩვენში ბოლშევიზმი უპასუხის მგებელი პირთა თავისუფალი ნავარდი იქნებოდა, ბოლშევიზმი ჩვენში პოლიტიკური სიბეცეა და მეტი არაფერია განა ვინ არ იცის, რომ საქართველო ისედაც ღარიბია და შიგ დასანგრევი არაფერი არ არის. ქართველი ხალხი, რომ ბოლშევიკურ ექსპერიმენტებს შეუდგეს ფიზიკურად განადგურდება. ჩვენში არ არიან დიდი პომეშჩიკები, ბანკირები და ფერმერები, რომ მათი დაგლეჯით გული იჯერონ ბოლშევიკურმა ყაჩაღობამ. არც პროლეტარიატის რიცხვია საგრძნობი და ამიტომ ვერც ჯარი იქნება მათი მრავალ რიცხოვანი. მიუხედავათ ამისა არიან ბოროტი ადამიანები, რომლებიც აქაიქ აჯანყების სახით ეიხევენ ბოლშევიკურ შხამს. პროლეტარიატის „მერცხლებმა“ იქნებ ქალაქებში მოიმხრონ ძველი ბიუროკრატები, მაგრამ სოფლად მათ ვერ გაუვლება ის გლეხი, რომელიც ერთ ტკაველ მიწაზე ლოცვილობს და ამიტომ რაც გინდ ორგანიზაციული იყოს ბოლშევიკური მოძრაობანი, ეს მხოლოდ უკმაყოფილო ელემენტების გამოსვლები იქნება და მათი ჩაქრობაც არ შეადგენს დიდ სიძნელეს.

ბიკ. აბესაძე.

მენშევიკების რეციდივისტები.

„ერთობა“ ხელმეორეთ შეუდგა მონანიების გზას. წინათაც იბეჭდებოდა წერილები ამ გაზეთში, რომელნიც სასტიკათ ახასიათებდენ საკუთარ პოლიტიკას, უმთავრესათ ადმინისტრაციის საქმეში — შემდეგ როგორც მოსალოდნელი იყო მენშევიკები შეჩერდენ და ძველი ამპლუა თავის ქების და ტრაბახობის პრინციპამდი აიყვანეს.

ქართულ სინამდვილეში ყველაზე უფრო კოშმარიანი მოგონება სწორეთ ის იქნება, როცა უფლებით გაბრუებული მენშევიკი ქონდრის კაცები — ზოგი დიკტატორობდა, და ზოგი კიდევ ლიკურგობას იჩემებდა.

საქართველოს დაკეტილ კარებში მათ არავინ ჰყავდათ დამშლელი; მენშევიკებმა შეითვისეს საკუთარი აზიური მეტოდები მოპირდაპირეთსთან ბრძოლაში და თუ ყოველ კრებაზე და მიტინგებზე ევროპიელობაზე გაჰკიოდენ, საქმით, ახალი ბაშიბუზუკები, ტერორის ქვეშ აყენებდენ ხალხს, რომ ამით გაამართლონ უფლების უზურპაცია.

ყოველი ცდა მენშევიკების დამღუპველი პოლიტიკის კრიტიკისა— მთავრობას მიაჩნია საქართველოს სახელის გატეხათ ევროპის სახელმწიფოთა წინაშე — და ამიტომ მენშევიკებმა ფიქციათ აქციეს სიტყვის თავისუფლება და ცარიზმის დროსაც არ ყოფილა ასე ბრიყვი ცენზურა.

ოპოზიცია იძულებულია ამოკრიბოს ისეთი ცნობები, რომელშიაც თვითონ მენშევიკები ამათრახებენ საკუთარ თავს — და შიშიც კი არ აქვთ, რომ ამასაც შეუძლია ავნოს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას.

„ერთობის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია წერილი „გვიყვარს პლატონი“.. **ბ. განის**.

ეს პლატონის მოყვარული — ადასტურებს ყველაფერს რაშიაც ბრალს სდებს ს. დემოკრატიას ეროვნული ოპოზიცია.

„რევოლიუციამ ძველი დაანგრია. ახალის შენება კი არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ბევრს ეგონა. განსაკუთრებით ძნელია ჩვენთვის, რომელთაც **არ გვქონია არავითარი პრაქტიკა, არავითარი გამოცდილება; არავითარი ტრადიცია სახელმწიფოებრივ მუშაობაშიო“.**

ამ გამანადგურებელ აღსარების შემდეგ „განი“ აღნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი სავსეა ისეთი ხალხით, რომელნიც მხოლოდ პირად გამოჩენას მოელის სახელმწიფოდან და ამ ეგოიზმს ბოროტმოქმედამდი მიჰყავს.

რესპუბლიკის ქონება ნადგურდება ამ ავაზაკების ხელში და ხალხის ზნეობა თანდათან ეცემა. ჩვენთვის უეჭველია, რომ ეს ბოროტ მომქმედი და ყაჩაღურ ინსტიქტის ხალხი უმთავრესად მენშევიკების რეციდივისტები არიან, რომელთა დიდ უმრავლესობას სისხლის სამართლის წარსული აქვს. მაგრამ რაღაც ირონიით სწორეთ ამგვარი რეციდივისტები გამოდიან სახელმწიფოს ამშენებლათ და სისხლის სამართლის წარსული მხოლოდ სათნოებათ ეთვლებათ.

მათი მხილება, მთავრობის აზრით საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას ართულებს — ამიტომ მოუსმინოთ თვითონ ბ. განს:

„ჩვენს წრეებში გავრცელებულია ერთი ყალბი და ცრუ შეხედულება: რაკი ბოროტება ჩაიდინა, ვსთქვათ, ჩკენმა ამხანაგმა, ეს უნდა დავფაროთ, არ უნდა გამოვააშკაროთ, რადგან ეს ამცირებს ჩვენ პარტიულ პრესტიჟსო“...

შემდეგ „ერთობა“ აცხადებს, რომ მას შემოღებული აქვს გაზეთში ახალი განყოფილება ამ პარტიულ ამხანაგების მხილებისთვის და სთხოვს ყველას საჭირო ცნობები მოაწოდონ.

ჩვენ გვგონია: „ერთობა“ მ მართლა რომ გულწრფელად დაიწყოს ამგვარი მხილება, მაშინ გაზეთში ადგილი არ ექნება მარტო ბოროტმომქმედ ამხანაგთა გამოსაცხადებლათ, — რადგან მათი სახელი ლეგიონია. მენშევიკებს კარგათ აქვთ შეთვისებული მართვა გამგეობის წესები, რომ ამისთანა ანკეტზე წამოეგონ.

აქ ძალაშია რუსული „კრუგოვაია პარუკა“. მთელი სოციალ დემოკრატია იცავს თავის თავს და მათი ციხე შიგნიდან არას დროს არ გატყდება. „პლატონის“ მოყვარული ხალხი კიდევ დიდხანს დარჩებიან ჭეშმარიტების ?ტრათ, მხილება მათი საქმე არ არის. ამიტომ „ერთობის“ ამ წერილს თუ აქვს რამე რეზონი, ეს იმით კი არაა, რომ ის როდისმე ბოროტ-მოქმედებაში კერძო პირებს აღმოაჩენს, არამედ იმიტომ რომ ამტკიცებს, თუ რა შეხედულებაა ამის შესახებ პარტიაში, და რატომ არის სახელმწიფო სავსე რეციდივისტებით,

წაიკითხავს ლექციას

საქართველოს ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომელნიც პარტიის სახელით და
ბისი ტერორით ანადგურებენ რეს-
ბლიკის კეთილ-დღეობას...
ვისაც უყვარს პლატონიც და ჭეშ-
ბარიტებაც ხმა მაღლა იტყვის; შორს
ენ შევიკების რეციდივისტები!
(ივერ.)

ნ. ბ. უსუფბეკოვი და ა. ი. ხატისოვი თბილისში.

ა. ი. ხატისოვის ჩამოსვლა.

16 ნოემბერს შუადღის 1 საათზე
ერევნიდან თბილისში საგანგებო მა-
ტარებლით ჩამოვიდა სომხეთის მთავ
რობის თავმჯდომარე ა. ი. ხატისო-
ვი, რომელსაც შეხვდნენ სადგურზე
სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ.
გედევანიშვილი საგარეო საქმეთა მი-
ნისტრის ამხანაგი ქარცივაძე, სამ-
ხედრო შტაბის უფროსი გენ. ზაქა-
რიაძე და ურთიერთობის გენერალი
ჯაფარიძე.

ნ. ბ. უსუფბეკოვის ჩამოსვლა.

ამავე დროს ნაშუადღევის 3 საა-
თზე საგანგებო მატარებლით ბაქოდან
თბილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის
მთავრობის თავმჯდომარე უსუფბეკ-
ოვს, რომელსაც თან მოჰყვნენ აზე
რბაიჯანის საზავო კონფერენციის წე-
ვრი მამად ჰასან გაჯინსკი და საქართ.
მთავრობის დიპლომატ-ური წარმო-
მადგენელი აზერბაიჯანის მთავრო-
ბასთან, გ. კ. ალიშბაია. მათ სად-
გურზე დახვდა დელეგაცია იმავე
შემადგენლობით. ახლად მოსული
სტუმრები წაიყვანეს მათთვის საგა-
ნგებოდ მოწყობილ ბინაზე.

უკანასკნელი ცნობები

პირველ ქართულ გემის შესვლა ბათუმში

გუშინ დეპეშით იტყობინებიან:
საქართველოს კონსულ ჩინიჯიშვი-
ლმა აცნობა საგარეო საქმეთა მი
ნისტრს, რომ ბათუმში შესულა ფო-
თიდან პირველი ქართული გემი
„ტფილისი“ ჩვენი ეროვნულ დრო-
შით. გემს დიდი ენტუზიაზმით
შეხვედრია ქართული საზოგადოება
და დიდი ოვაციები გაუმართავს.

დენიკინი და ამერიკა. ამერიკულ
სამსახურის გენერალმა დუგლასმა
ოქტომბრის ბოლო რიცხვებში
მოხსენება გაგზავნა ვაშინგტონ-
ში, სადაც აღწერდა ებრაელთა
დარბევას, რომელიც მოხალისეთა
ჯარმა მოაწყო უკრაინის სხვა და
სხვა ქალაქებში. 3 ნოემბერს, ვა-
შინგტონიდან კონსტანტინოპოლში
ცნობა მოვიდა, რომ ამერიკის კონ-
გრესის კომისიამ, მოისმინა რა ეს
მოხსენება, დაადგინა მოესპოს გენ.
დენიკინსა და კოლჩაკს კრედიტი
და ბრძანება გასცა, რათა დაკავე-
ბულ ყოფილიყო ამერიკის ნავსად-
გურებში მოხალისეთა ჯარებისა
თვის გასაგზავნ ნივთებით დატვირ-
თული გემები.

იაპონია და რუსეთი. იაპონიის
ზედა პალატის წევრს ზუბოტოს შე-
მდეგი განუცხადებია: ჩვენ ბალშე
ვიზმი რუსეთის შინაურ საქმეთ მი-
გვაჩნია; ამიტომ იაპონია არც უნ
და ჩაერიოს ამ საქმეში. ჩვენ თუ
მოვედით ციმბირში, მოვედით
ამერიკელთა წინადადების თანახმათ,
ჩეხო სლოვაკებისთვის დახმარების
აღმოსაჩენათ და მიზნათ გვაქვს და-
სახული წესრიგის დამყარება განსაზ-
ღვრულ ოლქში. მთელ რუსეთში
წესრიგი გარღვეულია, რომ ლის აღ
დგენაც ბალშევიკების ძალ-ღონეს
აღემატება. წესრიგის აღდგენა შეუძ-
ლია კოლჩაკს და ჩვენც ამიტომ ვე
ხმარებით მასაო.

ზანგეზურის ამბების შესახებ.

ო. უორდროპისა და პოლკ. რეის
დეპეშა აზერბაიჯან-სომხეთის მთავ-
რობას:

მინისტრ თავმჯდომარეს ხატისოვს.
მიღებული ცნობების თანახმად,
ვრწმუნდებით, რომ მდგომარეობა
ზანგეზურში საშიშია, რამაც შეიძ-
ლება სომხეთსა და აზერბაიჯანს შო-
რის სისხლის ღვრა გამოიწვიოს. ვი-
ცით რა ზანგეზურის საკითხის გა-
დაჭრა ერთობ რთულია, ჩვენ ავ-
ღნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ საკით-
ხის შესახებ ორივე მხარეს შეუძლია
საკმაო უფლების წამოყენება და მი-
სი გადაჭრა იარაღით არა სასურვე-
ლია, როგორც კერძოთ, ისე მთე-
ლი ქვეყნისათვის სამშვიდობო კონ-
ფერენციისათვის. ამიტომ მე დაბე-
ჯითებით გირჩევთ, შესწყვიტოთ
უთანხმოება და აღადგინოთ წესიე-
რება, თორემ გაფრთხილებთ, იარა-
ღით ამ საკითხის გადაჭრა ზიანს
მოუტანს თქვენს სასიცოცხლო ინ-
ტერესებს.

საფრანგეთი

ადგილების განაწილება დეპუტა-ტთა პალატაში

უკანასკნელი ცნობებით, დეპუ-
ტატთა პალატის არჩევნებში 548
ადგილი ასე განაწილდა: კონსენვა-
ტორებმა მიიღეს 81 ხმა, ლიბერა-
ლებმა—73, პროგრესისტებმა—120
რესპუბლიკანელებმა—117, რადიკა-
ლებმა—52, რადიკალ-სოციალისტე-
ბმა—71, რესპუბლიკანელ-სოციალ-
ისტებმა—24, დისილენტებმა—6,
გაერთიანებულმა სოციალისტებმა—
54, ნაციონალისტებმა ძველი ად-
გილები შეინარჩუნეს. ლიბერალებმა
მოიგეს 43 ადგილი, პროგრესისტე-
ბმა—73, მემარცხენე რესპუბლიკა-
ნელებმა—34, რადიკალებმა დაჰკა-
რგეს 6 ადგილი, რადიკალ-სოცია-
ლისტებმა—76, რესპუბლიკანელ-
სოციალისტებმა 8, გაერთიანებულ-
სოც.—42, სოციალისტ დესიდენ-
ტებს ძველი ადგილი შერჩათ.

ოსმალეთი

ამერიკა და ოსმალეთი.

სტამბოლში ამერიკის ყოფილ
ელჩს განუცხადებია, რომ შეერთე-
ბული შტატები მიიღებენ მანდატს
აღმოსავლეთში. იმ პირობით, უკე-
თუ კონტროლი ჰიბრალტარზე მი-
ეცემა ინგლისელებთან ერთათ ამე-
რიკელებსაც, ისე რომ ამერიკის
ფლოტს დაუბრკოლებრივ შეეძ-
ლოს მიმოსვლა ხმელთაშუა ზღვა-
ზე. („აშხატ.“)

ოსმალეთის საკითხი უნდა გადაწ-ყდეს ლონდონში.

პარიზიდან დეპეშით იტყობინები-
ან ნოემბრის 9-დან. „ცხადდება
რომ ოსმალეთის საკითხი ამ აზრით
უნდა გაარჩიონ და გადაწყდეს
ლონდონში. ახალ კონფერენციას
თავის კანცელიარიის საქმეები უკვე
გადაუტანიათ ლონდონში. („აშხატ.)

ახალგაზრდა ოსმალები და შვეი-ცარია.

„გაზეთ ლოზანა“ იუწყება: საო-
ცარი ამბავი ირკვევა. „ლოზანნა—
ახალგაზრდა ოსმალთა ცენტრია“.
ჟურნალი „ჟურნალი ჟენევა“ ამ-
ბობს, რომ ახალგაზდა ოსმალთ
ლოზანა გარდაჰქმნეს „ცენტრად“
საზავო ხელშეკრულობის მოლაპა-
რაკებისა აღმოსავლეთის საკითხის
გადასაჭრელად: „ჩვენ არ ვიცით,
იქნებიან თუ არა შვეიცარიის სხვა
ქალაქებშიც ესდენ ბედნიერები, რომ
გახდენ ჭუჭყიან სავაჭრო ბაზრად.
ლოზანნას აქვს თავისი ღირსება.
ლოზანნა არის თავშესაფარი ბერ-
ძენთა და სომეხთა. ლოზანნა—რო-
მელმაც ერთს მშვენიერ დღეს—მის
დაცემამდე ჩამოუშვა დროშა ჰოგენ-
ცოლერნთა, ლოზანნა არ ეძიებს
ისეთ სახელს, რომელიც მას ემუქ-
რება. (შემდეგ კონსტანტინოპოლურ
გაზეთში—ცენზურის მიერ გძლად
ამოშლილი) „აზრუმი გახდა ცენ-
ტრად სამხედრო მოძრაობასა, რო-
მელიც კიდევ იმუქრება ქრისტია-
ნელ სისხლის ღვრით. ამ საქმის გა-
სამარჯვებლად ენვერ-ფაშამ ჩაიგდო
ხელთ ხელმწიფება. ამ ვაუბატონმა
ამ სირცხვილისაგან უნდა იხსნას
ლოზანნა, როგორც თვისი დასამ-
ყოფელი,—მაგრამ სამაგიეროდ იქ
ჩავა თალაათ ფაშა. როგორ დაასა-
ჩუქრებს ის ქალაქს ენვერის წას-
ვლისთვის!“

პორესპონდენტების საუ-ურადღებოდ.

ვაცხადებთ ჩვენი კორესპონ-
დენტების საუურადღებოდ, რომ
ვინც სისტემატიურად მიაწოდებს
რედაქციას კორესპონდენციებს,
გაზეთი უფასოდ გაუგზავნება.
ვსთხოვთ კორესპონდენტებს შე-
გვატყობინონ თავისი მისამარ-
თები.

რედაქცია.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ლექციები. სამშაბათს, 25 ნო-
ემბერს ქალაქის თეატრში ლექციებს
წაიკითხავენ **სპირიდონ კედია**: „სა-
ქართველოს საგარეო და შინაური
მდგომარეობა“, და **ალ. ასათიანი**:
„საქართველოს ეკონომიურ-ფინანსი-
ური მდგომარეობა.“

◆ **მკვლელობა.** სოფ. ოხომირა-
ში. (კურსების საზოგადოების) 20
ამა ნოემბერს საღამოს ოთხ საათზე
სრულიად უმიზეზოთ მოკლა თავის
საკუთარ ოჯახში რვა სულის მარჩე-
ნალი 20 წლის ახალგაზრდა პლა-
ტონ დიონოსისძე სალაძე კურსების
საზოგადოების მილიციონერმა ილა-
რიონ ქაოამაძემ.

◆ **მიხ. ბოჭორიშვილის წიგნი.**
რედაქციამ მიიღო მიხ. ბოჭორიშვი-
ლის „ეტიუდები“. თავის შეხედუ-
ლებას ამ წიგნზე რედაქცია შემდეგ
გამოსთქვამს.

◆ **მეამბოხეთა მეთაურების და-ხვრეტა.** შინაგან საქმეთა სამინის-
ტროში მიღებული ცნობით, 14 ნო-
ემბერს დილას 10 საათზე გორში
თვით ხალხს დაუხვრეტია მეამბოხეთა
ბრბოების მეთაურები: არსენა ლო-
მიძე, ხიჯიკაშვილი და აბესალომ
ბეკოშვილი.

◆ **ინგლისელები ბათომში.** იუ-
წყებიან, რომ ინგლისელები ბათომ-
ში წესიერად აწარმოებენ მცხოვრებ-
თა საქმეებს. მაგალითად ნიხრზე ზე-
ვით საქონლის გაყიდვის გამო ისჯე-
ბა არა მარტო გამყიდველი, არამედ
მყიდველიცა. ქალებს, რომელნიც
ინგლისურ სამხედრო ტანსაცმელით
გამოვლენ სასეირნოდ იჭერენ და
ხდიან ტანსაცმელს. აგარაკის გამძა-
რცავი უაჩაღები ქალაქის მოედანზე
საჯაროთ დახვრიტეს.

◆ **აღმასრულებელი კომიტეტის საუურადღებოთ.** ქუთაისის საუბნო
კომიტეტების გამაერთიანებელი ორ-
განიზაციის თავმჯდომარე ილია ბა-
ხტაძე თხოვს გაუქმებული საუბნო
კომიტეტების თავმჯდომარეებს 25 ნო-
ემბრამდე კომიტეტის ბეჭდები და

ის იარაღები, რომლებიც მათ გუბერნიის კომისარმა თავდასაცველათ დაურიგა ჩააბაროს ქუთაისის მილიციის უფროსს. მათ წინააღმდეგ ვინც ჩემს თხოვნას 25 **ნოემბრამდე** არ შეასრულებს ადმინისტრაციის მიერ სათანადო ზომები იქნება მიღებული.

დ. აბდუშელიშვილის ხსოვნას.

ამ წლის 13 ნოემბერს გარდაიცვალა ერთ-ერთი ჩვენი ძველი მოღვაწეთაგანი დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი, განსვენებული ეკუთვნოდა 90 ან წლების მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომლის წარმომადგენლებად ჩვენში ითვლებიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე. წმინდა იდეალიზმი პრაქტიკიზმით გამსჭვალული და ცხოვრებასთან მჭიდროდ შეკავშირებული განსაკუთრებულ თვისებას შეადგენდა დავით აბდუშელიშვილისას. საშუალო სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში დაამთავრა და შემდეგ, სწავლა გაგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. კურსის დამთავრებისთანავე განსვენებული ქუთაისს დაბრუნდა და აქ ვექილობდა. დიდხანს არ დარჩენილა ადვოკატურაში: შემდეგ იგი დაინიშნა ქ. ქუთაისში უნცროს ნოტარიუსად და ამ თანამდებობას ასრულებდა ვიდრე მძიმედ არ დასნეულდა. როდესაც განსვენებული ცხოვრებაში შეეიდა როგორც პრაქტიკული მოღვაწე, რუსეთში ე. წ. დიდი რეფორმები განხორციელებული იყო, ჩვენში-კი „მცირე რეფორმები“ შემოქონდათ. სხვათა შორის, გლეხთა განთავისუფლება და მიწის განაწილება არ მოხდა ჩვენში სასურველ ნიადაგზე, და ეს გარემოება ერთ-ერთი მიზეზთაგანია იმის, რომ ასე გამწვავდა ჩვენში აგრარული საკითხი და გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობა. რუსეთის მთავრობა სრულიად არ შეეხო ხიზანთა საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი გამწვავებული იყო. განსვენებული ნათლად ხედავდა ამას.—1882 წელს. როდესაც ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური გაზეთი „შრომა“ გამოდიოდა მან მოათავსა ამ გაზეთში მეთაური, სადაც ეხებოდა ხიზანთა საკითხს და ამტკიცებდა, რომ ხიზანთა მდგომარეობა გამოურკვეველი და აუტანელია; მთავრობა და სასამართლო ხიზანს უბრალო მოიჯარადრედ სოფლის: ნამდვილად კი ხიზანთა უფლება მამულზე მუდმივი და საშვილიშვილოა, და მემამულეს უფლება არ აქვს დაითხოვოს ხიზანი; ავტორის სიტყვით საჭიროა, მთავრობამ შეიგნოს ეს აზრი და „ქვეყნის სარგებლობისათვის ხიზნები სრულ მესაკუთრეებად იქნოს“. იმ დროს ასეთი აზრი ხიზნების საკითხზე გაბედულ აზრად უნდა ჩავთვალოთ: უნდა გაკიხსენოთ რომ მას აქეთ ბევრმა ხანმა გაიარა, ხიზანთა საკითხის გადაჭრამ ბევრი დაბრკოლება ნახა, და თუ რომ რუსეთის მეორე რევოლიუციას არ მოესწრო, ეს საკითხი ჯერ არც-კი გადაწყდებოდა ჩვენში.

60-ან წლებში მოხდა ჩვენში „სასამართლო რეფორმა“; მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სისხლის სამართლის მართლ მსაჯულების ქვაკუთხეები არ იყო შემოღებული, თუმცა ახალმა წესმა შემოიღო საჯარო და სიტყვიერი წარმოება, მაგრამ ასეთ წარმოებას არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა, ვინაიდგან საქმის წარმოებაში შემოიღეს რუსული ენა და ქართული-კი განდევნეს ახალმა სასამართლომ არ გაამართლა საზოგადოების მოლოდინი და უკმაყოფილებას იწვევდა. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება დ. აბდუშელიშვილმა და იმავე „შრომაში“ დაბეჭდა წერილი სადაც ადარებს-რა ძველ სასამართლო წესს, როდესაც ქართულად დაწერილ თხოვნას ყველგან იღებდენ, ახალ წესთან, რომელმაც სრულებით განდევნა ქართული ენა, ამტკიცებს ახალი რეფორმის უვარგისობას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების და ქართულად წარმოების საჭიროებას. აი ასეთი ხასიათის იყო დ. აბდუშელიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა: იგი იყო მოწინავე მოღვაწე, ახალ იდეისთვის მებრძოლი, მხოლოდ მისი იდეია იყო არა უტოპიური, არამედ თვით ცხოვრებაზე დამყარებული. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ისეთივე იყო, როგორიც ლიტერატურული. დიდი ხნის განმავლობაში იგი ქალაქის საბჭოს ხმოსნად იყო და ყოველ საქმეებში იჩენდა პრაქტიკულ ცოდნას. კერძო ცხოვრებაში განსვენებული იშვიათი გულკეთილი იყო, ვინც მას დახმარებას სთხოვდა, მისი მუდამ ხელის გამწვდელი იყო. ზოგს ბრძნული რჩევით ისტუმრებდა ზოგს ტკბილი სიტყვით, და ზოგსაც ნივთიერ დახმარებასაც არ აკლებდა.

წყნარი და გულ-კეთილი, საღი ჭკუა-გონებით, სავსე დავითი დიდხანს იარსებებს ჩვენს ხსოვნაში.

კორესპონდენციას.

წერილი სამეგრელოდან. არა ერთხელ ყოფილა მოთავსებული გაზეთების ფურცლებზე ის მდგომარეობა და ახლო შედეგები, რაც წრევანდელმა წელმა მისცა გლეხობას ახალი მოსავალი. მუდმივი წვიმები, წყალდიდობა და ათასი სხვა პირდაპირ ღუპავდა გლეხობის საქმეს და აკი დაღუპა კიდეც. არ არის იმის იმედი, რომ ხალხს სიმინდი ყოფნიდეს მომავალ მაისამდე და არამც თუ მაისამდე, თითქმის ორი-თუ სამი თვეც ვერ დააკმაყოფილებენ ოჯახს. და რა ეშველება ამ ხალხს? ნუ თუ ულმობელმა შიმშილმა უნდა იძსხვერპლოს? ჩემის აზრით ერთად ერთი საშვალება ხალხის სიმშილისაგან გადასარჩენად არის დროის და შესაფერი და მიზან შეწონილი მუშაობა, როგორც ს ზოგადო, სახელმწიფოისე კერძო სასურსათო ორგანიზაციებისა და აგრეთვე ყველა კერძო ინიციატორთა, რომლების მუშაობა რასაკვირველია შეფარდებული იქნება აი იმ მუშაობასთან ერთად, რომელსაც აწარმოებდეს იქნება პირველები. მაგრამ ყველა ეს ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით არ არიან სათანადო სიმაღლეზე დამდგარნი როგორც პერსონალურად ისე თავიანთი დანიშნულების მხრით. როგორ არის საქმე სამეგრელოში და კერძოდ კი აბაშის რაიონში? აქ ვერც ერთი დაწესებულება, როგორადაც ვერ ასრულებენ თავიანთ მიერ აღებულ და კუთვნილ საქმეს არ ასრულებენ თითქმის მოთხოვნილების მინიმუმსაც და ამით კი საერთო საქმე ფერხდება და იღუპება მაგალითად აბაშისა და სუჯუნის რაიონებში დაგროვილი სიმინდის რაოდენობა ვის ჩაუვარდათ ხელში? შეისყიდა თუ არა ის კანონიერ ფასებში, რომელიმე საზოგადო დაწესებულებამ და ამ მხრით უზრუნველყო თუ არა თუნდაც ნაწილობრივად, ხალხის მომავალი მოთხოვნილება. არც ერთი და არც მეორე. ეს დაწესებულებები მარტო იმას აქცევენ ყურადღებას, რომ პარტიული ხალხით აავსონ ადგილები, და მერე კი არ დაეძებენ თუ დროზე ვერ აუღებენ ალოს დროის მოთხოვნილებას. ასეთი მაგალითები არა ერთი და ორი [illegible] ამას არ [illegible] ბისკენ [illegible] ციებს თუ კერძო პირთ რომელთაც ევალებათ სურსათ სანოვაგის საქმის მოგვარება.

ვალერიან წულეისკირი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ, ბატონო რედაქტორო, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო: — რომ მე 60000 მანეთი არ დამკარგვია და მაშასადამე არავისათვისაც არც შემითვლია, არც გამიცხადებია მითვისება 60000 მანეთისა. — ვინც ასეთ ჭორს ავრცელებს სჩანს თითონ ბრძანდება გამოცდილი ამგვარ „შანტაჟებში“ ან და ამ შრომისა და გაჭიჟრების ხანაში უდიდეს უსაქმურობას განიცდის.

პატივისცემით **ნინა დადიანისა.**

დაგვიანებ სრულიად სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების ბილეთი მოცემული ქუთაისის სამხედრო სამმართველოდან № 652 თებერვლის 21-ში. აღნიშნულ მოწმობას გაუქმებულად ვაცხადებ.

პოლიკარპე დიმიტრის ძე ბუხსიანიძე.

ნუსხა

პირველ ქართულ ლატარიის მოგებულ ბილეთებისა, ლატარიის გამგეობის მიერ ხელმოწერილი.

(გაგრძელება)

სერ. №№	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგ
145	163	—100	225	—100	247	—100	400	—100	113	—100	251	—100
146	312	—100	348	—100	11	—100	399	—100	8	—100	411	—100
147	399	—100	121	—100	102	—100	268	—100	271	—100	296	—100
148	480	—25 000	177	—250	179	—100	284	—100	400	—100	62	—100
149	318	—100	423	—100	416	—250	115	—100	237	—100	140	—100
150	404	—100	445	—250	396	—100	356	—100	444	—100	22	—250
151	347	—100	3	—100	475	—100	54	100	447	—100	119	—100
152	22	—100	108	—100	53	—100	58	—100	76	—100	82	—100
153	204	—100	468	—100	362	—100	166	—250	128	—100	497	—100
154	293	—100	450	—100	39	—100	248	—100	79	—100	164	—100
155	40	—100	444	—100	271	—100	392	—100	313	—100	400	—100
156	419	—100	174	—100	274	—100	252	—100	47	—100	85	—100
157	1	—100	107	—100	221	—100	329	—100	298	—100	190	—100
158	79	—100	94	—100	42	—100	390	—100	387	—100	144	—100
159	56	—520	262	—100	200	—100	170	—100	241	250	372	—250
160	131	—100	245	—100	56	—100	281	—100	131	—100	160	—100
161	229	—100	293	—250	14	—100	371	—100	260	—100	347	—100
162	34	—100	201	—100	15	—100	183	—100	106	—100	247	—100
163	313	—250	95	—100	208	—100	124	—100	94	—100	3	—100
164	207	—100	172	—100	492	—100	30	—100	437	—100	245	—100
165	301	—250	70	—250	79	—100	67	—100	391	—100	298	—100
166	241	—100	240	—100	279	—100	38	—100	268	—100	141	—100
167	54	—100	41	—100	81	—100	434	—100	324	—100	480	—100
168	212	—100	482	—100	455	—100	223	—100	303	—100	464	—100
169	11	—100	435	—100	4	—100	339	—100	117	—100	70	—100
170	58	—100	454	—100	442	—500	401	—100	121	—100		
171	412	—100	4	—100	120	—100	142	—100	153	—100	61	—100
172	450	—250	428	—100	194	—250	417	—100	266	—250	495	—100
173	351	—100	357	—100	415	—100	176	—250	19	—250	6	—100
174	19	—100	43	—100	144	—100	223	—100	271	—100	253	—100
175	71	—100	300	—100	315	—100	178	—100	348	—100	276	—100
176	23	—100	481	—100	227	—100	336	—100	173	—100	430	—100
177	476	—100	180	—100	97	—100	451	—100	85	—100	156	—100
178	103	—100	440	—100	312	—100	111	—100	280	—100	256	—100
179	195	—100	208	—100	139	—100	474	—100	37	—100	86	—100

(გაგრძელება იქნება).

ტამბა ნ. ფეფრაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.